დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109261802**

თარიღი:**29/06/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის, პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 26 მუხლის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 25 ივნისის N108-1082617647 წერილის საფუძველზე და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს N005269022 დასკვნის გათვალისწინებით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის ქონება, სოფელ სარკინეთში მდებარე 879 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს.კ 82.06.42.170) და მასზე არსებული N1 და N2 შენობა-ნაგებები სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადასცეს თამაზი დაუთაშვილს (პ.ნ 15001025076), საიჯარო ქირის საფასურით - საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 1475 (ერთიათასოთხასსამოცდათხუთმეტი) ლარს წელიწადში.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქუჩა N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი